ოქმი:**ო37. 3724325001**

თარიღი:**20/11/2024**

ოქმი N 25

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2024 წელი 18
ნოემბერი

ქ. ოზურგეთი

17:00-საათი

თავმჯდომარეობდა: ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ. ჩავლეშვილი, ბ. თოიძე, ნ. ჭანიშვილი, ქ. ხომერიკი, დ.ჭაკნელიძე, დ.მჟავანაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

   მომხსენებელი: **ლავრენტი ბიგვავა**

   თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

   მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №261 დადგენილებაში მიმდინარე წლის 28 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების შესახებ.

   მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის მე-III კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

ბიუროს წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი დაეწეროს განსახილველად და დაკვნის წარმოსადგენად საკრებულოს დარგობრივ კომისიებსა და ფრაქციებს.

მეორე საკითხი განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს შესაბამის დარგობრივ კომისიას- სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

მესამე საკითხი განსახილველად, შესაბამისი დასკვნის მომზადებისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით დაეწეროს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას.

მეოთხე საკითხი დაეწეროს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე